პროტოკოლი N5
საგანმანათლებლო ღონისძიებები ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების და მისი ოჯახის წევრებისთვის

მიზანი: ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების და მისი ოჯახის წევრებისთვის ტუბერკულოზის და მისი მკურნალობის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდება

სამიზნე ჯგუფი: ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტი და მისი ოჯახის წევრები

ზოგადი რეკომენდაციები

- პაციენტს ყოველთვის ესაუბრეთ მისთვის გასაგებ ენაზე
- ადექვატური კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებლად დაჯექით მის წინ, ისე რომ უყურებდეთ თვალებში
- ეცადეთ აგრძნობინოთ მხარდაჭერა, მისი დახმარების მზაობა
- ურჩიეთ პაციენტს დაანებოს თავი მოწევას, თუ ის მწეველია და არ დაიწყოს თუ არ ეწევა, თავი აარიდოს ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას, მოაწესრიგოს კვებითი სტატუსი
- აუცილებელია დაიგეგმოს ისეთი დაავადებების პრევენცია, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი და სხვა დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პაციენტის იმუნურ სისტემაზე
- თუ პაციენტი სხვა პრობლემის გამო მოხვდა ჰოსპიტალში, აუცილებლად უნდა გააგრძელოს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა

პროცედურის თანმიმდევრობა

1. გაიკეთეთ რესპირატორი
2. მოამზადეთ შესაბამისი დოკუმენტაცია
3. გადაამოწმეთ პაციენტის ვინაობა (გვარი, სახელი, ისტორიის #)
4. დაიცავით პაციენტის პრივატულობა/კონფიდენციალობა
5. მოიპოვეთ პაციენტის და მისი ოჯახის წევრების ნდობა, დაამყარეთ მათთან კომუნიკაცია
6. მიაწოდეთ ინფორმაცია ტუბერკულოზის და მისი მკურნალობის შესახებ
7. ხაზი გაუსვით იმ ფაქტს, რომ ტუბერკულოზი, ყველა დანიშნული მედიკამენტის სწორად მიღების შემთხვევაში, განკურნებადია
8. პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს გადაეცით ნაბეჭდი საგანმანათლებლო მასალა
9. პირველი ვიზიტის ბოლოს აუცილებლად წაახალისეთ პაციენტი და მისი ოჯახის წევრები, დასვან მათთვის საინტერესო კითხვები და ამომწურავად უპასუხეთ მათ
10. ყოველ მომდევნო ვიზიტზე ეცადეთ მიაწოდოთ პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს ახალი ინფორმაცია და გადაამოწმოთ ძველი
11. აუხსენით პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს წამლის მიღების დროს სამედიცინო პერსონალის დასწრებას
12. მიაწოდეთ ინფორმაცია მედიკამენტების და მათი გვერდითი ეფექტის შესახებ, ასწავლეთ მათი ამოცნობა და შემდეგ ვიზიტზე დაინტერესდით, ხომ არ გამოვლინდა რომელიმე მათგანი
13. თუ გამოვლინდა, მიიღეთ შესაბამისი ზომები
14. აუხსენით პაციენტს, რომ მკურნალობის პროცესში მას შეუძლია გააგრძელოს ჩვეული საქმიანობა, ასევე ის, თუ რა შემთხვევაში დადგება მისი იზოლირების საკითხი
15. ასწავლეთ პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს ხველის ჰიგიენა და აუხსენით მისი საჭიროება
16. აუხსენით პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს ნიღბის საჭიროება და ასწავლეთ მისი სწორი გამოყენება

17. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი აპირებს ქალაქიდან ან ქვეყნიდან გამგზავრებას, სთხოვეთ აუცილებლად შეგატყობინოთ, რათა შეძლოს მკურნალობის გაგრძელება
18. აუხსენით პაციენტს, რომ თუ ის რეგულარულად არ მიიღებს და/ან შეწყვეტს მედიკამენტების მიღებას საფრთხე შეექმნება არამარტო მის სიცოცხლეს, არამედ მისი ოჯახის წევრებსა და ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ტუბერკულოზის გავრცელებას
19. მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მკურნალობის პროცესში დასჭირდება ნახველის ანალიზის (იხ. ნახველის ნიმუშის აღების პროტოკოლი) რამდენჯერმე ჩატარება: მკურნალობის დაწყებიდან 2 და/ან 3 თვის შემდეგ მკურნალობის ეფექტურობის დასადგენად
20. მიმდინარე მკურნალობის პროცესში (5თვის განმავლობაში) ჩატარებულ ანალიზში თუ არ იქნა ნანახი ტუბერკულოზის მიკობაქტერია, მაშინ გაგრძელდება მკურნალობის მიმდინარე სქემა, თუ აღმოჩნდა, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა შეიცვალოს
21. მკურნალობის დასრულებისას – თუ ნახველში არ იქნა ნანახი ტუბერკულოზის მიკობაქტერია, ე. ი. პაციენტი გამოჯანმრთელდა
22. შეავსეთ შესაბამისი დოკუმენტაცია
23. მოიხსენით რესპირატორი
24. დაიბანეთ ხელები
25. პროცედურის მსვლელობის დროს შექმნილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ შეატყობინეთ ზემდგომ პერსონალს

მკურნალობის პროცესში პაციენტის ტუბერკულობის შესახებ ინფორმირება

გამოიყენეთ კომუნიკაციის საუკეთესო უნარები. მკურნალობის სხვადასხვა საფეხურზე განიხილეთ შესაბამისი საკითხები. მედიკამენტის მიწოდებისას იყავით კონკრეტულები, არ დაღალოთ პაციენტი ზედმეტი საუბრით, თუ პაციენტს აქვს რაიმე პრობლემა გულდასმით მოუსმინეთ და იმოქმედეთ მის გადასაჭრელად. განმეორებითი შეფასების პროცესში (განმეორებითი ნახველის ანალიზის ან კლინიკური კონსულტაცია) გადაამოწმეთ პაციენტის სტატუსი დეტალურად

ყოველ ვიზიტზე: გამოიჩინეთ გულისხმიერება, ისაუბრეთ პაციენტისთვის გასაგებ ენაზე, წაახალისეთ დაგისვათ კითხვები	
ყურადღება გაამახვილეთ მედიკამენტების შესაძლო გვერდით ეფექტებზე: თუ სახეზეა სერიოზული გვერდითი მოვლენები დაუყოვნებლივ გადააგზავნეთ ექიმთან	
კითხვები გვერდითი ეფექტის გამოსავლენად; • როგორ გრძნობთ თავს? • რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთ? **მოუსმინეთ და მოძებნეთ გვერდითი ეფექტის უპირატესი ნიშნები:** • ქავილი, ნაკაწრები კანზე • სმენის დაქვეითება/სიყრუე • თავბრუსხვევა, წონასწორობის დაქვეითება • სიყვითლე • ღებინება • მხედველობის გაუარესება	**თუ სახეზე მსუბუქად გამოხატული გვერდითი მოვლენებია დააწყნარეთ პაციენტი და ურჩიეთ:** • ანორექსიის, გულისრევის ან მუცელში ტკივილის შემთხვევაში მიიღონ მედიკამენტები საჭმელთან ერთად, როგორიცაა იოგურტი ან ფაფა • სახსრებში ტკივილის დროს მიიღოს ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები • კბილების მგრძნობელობის მომატებისას მიმართოს ექიმს • ნარინჯისფერი ან წითელი შარდი მოსალოდნელია და საშიში არ არის

ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი: პროტოკოლი განკუთვნილია ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის

სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები: პროტოკოლი გამოიყენება ყველა პაციენტის მიმართ, რომელებიც დაავადებულები არიან ტუბერკულოზით

წყარო:

Management of Tuberculosis Training for Health Facility Staff Second Edition. World health Organization 2010